დუშეთის მაცნე

№3 (115)
10 დეკემბერი
2023 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი, ვრცელდება უფასოდ

გილოცავთ დამდეგ 2024 წელს!

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ ჩვენ ძალიან ბევრი პროექტი გვაქვს 2024 წელს დაგეგმილი. ჯამში თითქმის 6,7 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურაზე მთლიანად“.

2-3

შატილში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებები განხორციელდა 4

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელი ვაშლობი გაზიფიცირდა 4

გაიხსნა განახლებული ბიბლიოთეკა 4

5

წარჩინებული მოსწავლეები პორტატული კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს, რა თქმა უნდა, არის ისტორიული დღე, ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება“

ჩემთვის დიდი პატივია, მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული გადაწყვეტილება. ევროკომისია დადებითად აფასებს მიღწეულ შედეგს და ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი. ეს, რა თქმა უნდა, არის ისტორიული დღე, ევროკომისიის ისტორიული გადაწყვეტილება. მე მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ევროკომისიის პრეზიდენტს - ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი.

ეს პერიოდი იყო ძალიან დატვირთული. საკმაოდ დატვირთული ემოციური თვალსაზრისითაც, ვინაიდან, ჩვენ მოგეხსენებათ, რომ უზარმაზარი სამუშაო გავწიეთ. მე მინდა, ჩვენს ერთიან, ძლიერ გუნდს გადავუხადო მადლობა, საქართველოს პარლამენტს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს, ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, ვინაიდან ეს იყო ჩვენი საერთო მუშაობის შედეგი. ჩვენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 24 საათის განმავლობაში, ვმუშაობდით 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. დღეს ვიხილეთ ანგარიში, რომელიც არის ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ პოზიტიური, დადებითი და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება მიღწეულ შედეგს. მე ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შარლ მიშელს, რომელიც მხარს უჭერდა და უჭერს, რომ საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი. რა თქმა უნდა, მე მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს - ამერიკის შეერთებულ შტატებს. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ერთი თვის წინ მქონდა ჩვენს ამერიკელ მეგობრებთან გარდამტეხი და გადამწყვეტი შეხვედრები, შეიძლება ასე ითქვას. მინდა გამოვყო შეხვედრა ბატონ სალივანთან და პირადად მას გადავუხადო მადლობა, ვინაიდან, კარგად ვიცით, რომ ბატონი სალივანის და ამერიკის მთავრობის სურვილი მხარდაჭერა იყო და არის დიდი მნიშვნელობის. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომელთანაც მქონდა საკმაოდ შინაარსიანი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შეხვედრა ესპანეთში.

განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, თუ რაიმე დაზუსტება იყო საჭირო, ჩვენმა გუნდმა ერთიანად მოვახერხეთ და ძალიან მოკლე პერიოდში დავხურეთ თითქმის ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც იქნა მოცემული ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს ხალხს, პირველ რიგში, ვინაიდან ეს გამარჯვება და ეს აღიარება, ეს ღირსეული გადაწყვეტილება, მე ასე ვიტყოდი, ეკუთვნის ჩვენს ხალხს, რომელსაც ჩვენი მთავრობა და ჩვენი ხელისუფლება წარმოადგენს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გუნდს, საჯარო მოხელეებს, მთავრობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩვენს დიპლომატებს, კიდევ ერთხელ ჩვენს პარლამენტს, ვინაიდან 100-ზე მეტი დოკუმენტი იქნა მიღებული, შექმნილი და უზარმაზარი სამუშაო, უდავოდ უნდა ითქვას, გასწია მთელმა გუნდმა.

რა თქმა უნდა, ახლა ჩვენ გავაგრძელებთ მუდმივ დიალოგს ისე, როგორც ვაგრძელებდით მანამდეც ჩვენს ევროპელ კოლეგებთან. მჭიდრო კოორდინაცია გვექნება ჩვენს ევროპელ მეგობრებთან და აქვე მინდა აღვნიშნო, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, უამრავი წინააღმდეგობისა, საბოტაჟისა თუ პროვოკაციებისა და არაერთი დესტრუქციული ქმედებებისა, შიდა თუ გარე მტრების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებებისა, ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვა დღეს, ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ჩვენმა სიმართლემ და კიდევ ერთხელ მე გულითადად გილოცავთ ყველას დღევანდელ აღიარებას.

რაც მთავარია, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, გახსოვთ კარგად, შარშან საკმაოდ გულდაწყვეტილი ვიყავით, ვინაიდან საქართველომ ვერ მიიღო მაშინ კანდიდატის სტატუსი. ეს იყო ჩვენთვის ერთგვარი დამაბრკოლებელი და, შეიძლება ასე ითქვას, გულდასაწყვეტი ფაქტი, თუმცა დღეს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, მივიღეთ დამსახურებულად დღევანდელი დღე. მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა დეკემბერში მიიღებს კანდიდატის სტატუსს და საბოლოოდ გაფორმდება დღევანდელი გადაწყვეტილება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა რეალობაში აღმოჩნდება ჩვენი ქვეყანა. ეს არის უდავოდ ძალიან ძლიერი წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

მინდა, ერთგვარი შეჯამება გავაკეთო ჩვენი გუნდის მიერ მიღწეული შედეგებისა. დღევანდელი დღე, შეიძლება ასე ვთქვათ, არის ერთგვარი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელი ჩვენი 11-წლიანი საქმიანობისა, რომელმაც მოიტანა მშვიდობა, სტაბილურობა, ის დიდი ტრანსფორმაცია და ცვლილება, შეიძლება ასე ითქვას, ევროპეიზაციის 10 წელი, შეიძლება ასე ვუწოდოთ ამ მშვიდობიან 10-წლიან პერიოდს, ვინაიდან თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა და მმართველმა, რაიმე გააკეთა ხელშესახები ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის „ქართული ოცნება". ეს არის ასოცირების შეთანხმება, შეგახსენებთ, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, ევროპული პერსპექტივა, რომელიც შარშან მივიღეთ და ახლა უკვე კანდიდატის სტატუსი, რომელიც დეკემბერში საბოლოოდ, მე მჯერა, გაფორმდება. ეს არის მოკლედ შეჯამება ჩვენი მუშაობის, მმართველობის. ქვეყანამ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, ბოლო 11 წელიწადში მიაღწია უპრეცედენტო მშვიდობას, სტაბილურობას, მიუხედავად არნახული გამოწვევებისა და გართულებული უსაფრთხოების გარემოსი ჩვენს რეგიონში.

უნდა ითქვას, რომ ეს ვერ მოხდებოდა და შეუძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა, რომ არ მოეხდინა ის, მე ვიტყოდი, ისტორიული ცვლილება, გარდამტეხი ცვლილება ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად მის გუნდს - „ქართულ ოცნებას", რომელსაც ვაგრძელებთ - ამ დიდ, ეროვნულ საქმეს. კიდევ ერთხელ მინდა, მკაფიოდ განვაცხადო მთავრობის სახელით და ჩვენი გუნდის სახელით, გავაგრძელებთ კოორდინაციას ჩვენს ევროპელ მეგობრებთან. ეს, რა თქმა უნდა, არის ჩვენთვის ძალიან წამახალისებელი, შეიძლება ასე ითქვას, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ ევროკომისიამ შეაფასა და მიიღო ერთადერთი სწორი, ღირსეული, გონივრული და ბრძნული გადაწყვეტილება, რომ გასცა დადებითი რეკომენდაცია სტატუსთან დაკავშირებით.

ჩვენი საბოლოო მიზანი, ბუნებრივია, არის ქვეყნის სრული ინტეგრაცია ევროკავშირში, წევრობა, რასაც, რა თქმა უნდა, სჭირდება გაცილებით უფრო მეტი ძალისხმევა. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რაც არ დასრულდება 1 და 2 წელში, ეს არის მრავალწლიანი პროცესი, რომელსაც ჩვენი ხალხის კონსოლიდაცია სჭირდება და ჩვენი მთავრობის, მთლიანად ხელისუფლების, ეფექტიანი მმართველობა და იმ რეფორმების გაგრძელება, რომელსაც ჩვენ ბოლო 11 წელია ვახორციელებთ ქვეყანაში.

ეს საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ქვეყნის სრულ ევროპეიზაციამდე, ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაცია უნდა გაგრძელდეს და საბოლოოდ, ჩვენი მიზანი და დიდი, მთავარი ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გაერთიანება. ეს არის მთავარი მიზანი, რომელსაც ვუახლოვდებით ყოველ დღე და მჯერა, დღევანდელი დღე და ისტორიული ნაბიჯი გვაახლოებს ამ დიდ, საერთო ეროვნულ მიზანთან. კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ჩვენს გუნდს და მივულოცო ამ მიწაზე მცხოვრებ თითოეულ ჩვენ მოქალაქეს დღევანდელი ისტორიული გამარჯვება და აღიარება. მივიღეთ დამსახურებული სტატუსი, ისეთი, როგორსაც იმსახურებს ჩვენი ძლიერი და ამაყი ქართველი ხალხი. დიდი მადლობა!“

08.11.2023 წ.
წყარო - საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი.





„ᲯᲐᲛᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲕᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 25 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲜᲐᲔᲠᲗᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 28 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ 760 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲢᲔᲑᲐ“

კონსერვატიული დაგეგმვის პირობებში ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 86 მილიარდი ლარი გამოგვივიდა. 2012 წელს მთელი ქვეყნის ეკონომიკა იყო დაახლოებით 27 მლრდ ლარი, ბოლო 11-12 წელიწადში ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 2027 წელს ქვეყნის ეკონომიკა იქნება მინიმუმ 108 მილიარდი ლარი და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თითქმის 11 000 დოლარს მიაღწევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია ბოლო პერიოდში.

„მე მინდა დღეს მნიშვნელოვან საკითხებზე გავაკეთო განცხადება, გავავრცელო და მივაწოდო ინფორმაცია ჩვენს საზოგადოებას. პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ დღეს განვიხილავთ უკვე ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს, რომელზეც ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ ბოლო სამი თვის განმავლობაში, შეიძლება ითქვას – პარლამენტთან, მთავრობაშიც, რა თქმა უნდა, მინისტრებთან სათითაოდ გავიარეთ ყველა ის საკითხი და ინიციატივა, რომლებსაც ჩვენ განვახორციელებთ 2024 წელს. პარლამენტთან გვქონდა ძალიან ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობა და საბოლოო ჯამში, დღეს წარმოვადგენთ ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი ბიუჯეტი გამოვიდა. მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა ჩართულ ადამიანს, ჩვენი გუნდის წევრს, ფინანსთა მინისტრს და მის გუნდს, რომლებმაც ძალიან კარგად იმუშავეს ახალ ბიუჯეტზე.

მოკლედ შევაჯამებდი კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმ ძირითად პარამეტრებს, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა ბიუჯეტში. მინდა ვთქვა, რომ კვლავაც ბიუჯეტი დაგეგმილი არის კონსერვატიულად. ჩვენ ჩავდეთ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა. ასევე ძალიან შემცირებულია ბიუჯეტის დეფიციტი, 2,5% იქნება დეფიციტი და შემდგომ წლებშიც გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ეს შემცირების ტენდენცია. მთავრობის ვალი 38% იქნება მშპ-თან, რაც ასევე ძალიან დაბალია და შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 3 წელიწადში მოვახერხეთ მნიშვნელოვანი შემცირება მთავრობის ვალის და მომდევნო წლებშიც შემცირების ტენდენცია იქნება. კონსერვატიული დაგეგმვის პირობებში, მეგობრებო, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 86 მილიარდი ლარი გამოგვივიდა. მე შევახსენებ კიდევ ერთხელ საზოგადოებას, რომ 2012 წელს მთელი ქვეყნის ეკონომიკა იყო დაახლოებით 27 მილიარდი ლარი, ანუ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა სამჯერ გაიზარდა ბოლო 11-12 წელიწადში, შეიძლება ითქვას – 86 მილიარდი ლარი და დოლარში 8500 დოლარს გადააჭარბებს უკვე, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით პერ კაპიტა იქნება 8500 დოლარი, აქაც დოლარში გვაქვს გაორმაგება ბოლო 11 წელიწადში. ჩვენი პროგნოზით, უკვე 2027 წელს ქვეყნის ეკონომიკა იქნება 108 მილიარდი ლარი, ესეც მინიმუმ, ასეთი პროგნოზი გვაქვს ჩვენ და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თითქმის 11 000 დოლარს მიაღწევს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია ბოლო პერიოდში. ამ პარამეტრებიდან გამომდინარე, 2024 წლის საერთო, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იქნება 28 მილიარდ 760 მილიონი ლარი, ანუ ჩვენ კიდევ გავზარდეთ, ამის თაობაზე მოგახსენებთ დეტალურად. იცით, რომ, აღარ გავიმეორებ, ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა, ძალიან მნიშვნელოვანი, ხელშესახები ინიციატივები დავაანონსეთ და ამ პროექტებს განვახორციელებთ 2024 წელს, მათ შორის პენსიების ზრდა, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა. 600 მილიონამდე დამატებით გავუზარდეთ განათლებას, რომელიც მოხმარდება მასწავლებლების ხელფასების ზრდას და სკოლების, ბაღების მშენებლობას. ბაღები ცალკე უნდა აღვნიშნოთ, სკოლების მშენებლობას და რეაბილიტაციას. ყველა მიმართულებით, კიდევ გავიმეორებ, მნიშვნელოვანი, ხელშესახები სიახლეები და ცვლილებები გვექნება 2024 წელს“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ჯამში რეგიონული ფონდი გახდება 580 მლნ ლარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტებს შეეძლებათ მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება მომავალ წელს.

„ახლა რაც შეეხება სხვაობას, რომელიც დღეს წარმოვადგინეთ წინა ვარიანტთან შედარებით. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება 165 მლნ ლარით, კიდევ დამატებით რესურსები გამონახა ბატონმა ლაშამ და მისმა გუნდმა, 165 მლნ ლარით გაიზრდება, აქედან, უდიდესი ნაწილი - 130 მლნ ლარი ისევ ჩვენს რეგიონებში მოხმარდება პროექტების დაფინანსებას. ჯამში რეგიონული ფონდი გახდება 580 მლნ ლარი, ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტებს შეეძლებათ მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება მომავალ წელს.

გარდა ამისა, მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენ დამატებით გამოვყავით 15 მლნ ლარი და ეს თანხა მოხმარდება გურიაში იმ ოჯახების კომპენსაციებს, რომელთა სახლები დაზიანდა სტიქიის დროს. ჩვენ 15 მლნ ლარს წელს ჩავურიცხავთ ამ ადამიანებს, მოხდება სახლების, ბინების შეძენა, არცერთი ოჯახი არ დარჩება დახმარების გარეშე, ეს მინდა ვთქვა კიდევ ერთხელ მკაფიოდ. დამატებით –15 მილიონს გამოვყოფთ უკვე 2024 წელს.

კიდევ ერთხელ შევაჯამებ, რომ ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იქნება 25 მილიარდი ლარი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტი – 28 მილიარდ 760 მილიონი ლარი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მატება. 2012 წელს ბიუჯეტი იყო 9 მილიარდ ლარამდე, დაახლოებით 8.6 თუ 8.7, მნიშვნელობა არ აქვს, 9 მილიარდ ლარამდე იყო ბიუჯეტი. აქაც 3-ჯერ არის გაზრდილი და მთლიანი ეკონომიკაც გაზრდილია 3-ჯერ.

კიდევ ერთხელ მადლობა, ბატონო ლაშა, თქვენ და თქვენს გუნდს, ყველა მინისტრს მინდა მადლობა გადავუხადო, ჩვენს პარლამენტს, შესაბამის კომიტეტებს, რომლებმაც ძალიან ინტენსიურად იმუშავეს მთავრობასთან ერთად. ჩვენ ბევრი ინიციატივა მოვისმინეთ მათგანაც, გავცვალეთ აზრები, ძალიან საინტერესო პროცესი გავიარეთ და, ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს ფისკალური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაბალანსებული, პროგრამების შინაარსით საკმაოდ საინტერესო ბიუჯეტი, რომელიც მომდევნო წელს აისახება ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე და, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებასაც.

მთავრობის მეთაურის თქმით, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია დასაქმებულთა რაოდენობამ ქვეყანაში.

„რაც შეეხება, ზოგადად, მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებას, იცით, რომ ჩვენ წელს 7%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. ახლაც ძალიან კარგი ტენდენციებია და მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ეს პოზიტიური დინამიკა. მინდა გამოვეხმაურო საქსტატის მიერ წინა კვირას გავრცელებულ ინფორმაციას, ეს ეხება ეკონომიკურ აქტივობას და დასაქმების საკითხებს. წელს ყველა კვარტალში გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა – მესამე კვარტალშიც გაიზარდა, მეორეშიც, პირველშიც. მნიშვნელოვანი ზრდა გვქონდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია დასაქმებულთა რაოდენობამ ქვეყანაში. 1 მლნ 366 ათასი დასაქმებულია დღეს ქვეყანაში. ეს ოფიციალურად არის საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია. ასევე რეკორდულია დასაქმების დონეც, რაც მოიტანა ბოლო წლებში ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულმა სწორმა პოლიტიკამ, იმ ნაბიჯებმა, რომლებიც ჩვენ გადავდგით, იმ მშვიდობის პოლიტიკამ, რომელიც ჩვენ გვაქვს, თორემ დღეს რომ ყოფილიყო წინა ხელისუფლება და წინა მთავრობა, დღეს არც მშვიდობა იქნებოდა, არც ეკონომიკური ზრდა, არაფერი არ იქნებოდა. ქვეყანას ისინი მეორედ და საბოლოოდ დააქცევდნენ და გაანადგურებდნენ, როგორც მათ ერთხელ უკვე დაანგრიეს ეს ქვეყანა, ამიტომ ჩვენ ვინარჩუნებთ მშვიდობიან პოლიტიკას, მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარების მაღალ ტემპს“, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანი პროექტებია დაგეგმილი, საჭიროა აქტიური, ეფექტური მუშაობა და დროული გადაწყვეტილებები.

„ჩვენ ძალიან ბევრი პროექტი გვაქვს 2024 წელს დაგეგმილი. ჯამში თითქმის 6,7 მილიარდი ლარი დაიხარჯება ინფრასტრუქტურაზე მთლიანად. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი არის ირაკლი ქარსელაძის სამინისტროს ბიუჯეტი და ყველა სამინისტროს ჩადებული აქვს ეს ხარჯები, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები გვაქვს, საჭიროა მაგარი, აქტიური, ეფექტური მუშაობა, დროული გადაწყვეტილებები და, ვფიქრობ, ყველაფერი იქნება ძალიან კარგად“, - განაცხადა პრემიერმა.

28.11.2023 წ.
წყარო - საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელი ვაშლობი გაზიფიცირდა



დუშეთის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1400 მ-ზე მდებარე სოფელ ვაშლობში, გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა - სოფელში მუდმივად მცხოვრები ორი ოჯახი ბუნებრივი აირით სარგებლობას შეძლებს.

ადგილზე არსებულ ვითარებას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე, რწმუნებულის პირველი მოადგილე გიორგი ჩიფჩიური, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, მერის მოადგილე ჯონი ბერუაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური გაეცნენ.

აღსანიშნავია, რომ წელს გაზიფიცირების სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის 11 სოფელში დასრულდა.

იბეჭდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გაიხსნა განახლებული ბიბლიოთეკა

ქ.დუშეთში, რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, ალექსანდრე როინაშვილის სახელობის განახლებული ბიბლიოთეკა გაიხსნა.

ღონისძიებას ადგილობრივ საზოგადოებასთან ერთად ესწრებოდნენ მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე და მისი მოადგილეები, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური და ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ნელი თეთრუაშვილი.

ბიბლიოთეკის შენობას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, სრული რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩაუტარდა. სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა შენობის ფასადი, შეიცვალა საკომუნიკაციო სისტემები, მოეწყო სახანძრო სიგნალიზაცია და განხორციელდა შიდა სარემონტო სამუშაოები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების დაფინანსებით კი ციფრული ბიბლიოთეკა შეიქმნა, წიგნადი ფონდი და ინვენტარი განახლდა და ყველა სხვა საჭირო ღონისძიება განხორციელდა.

მცხეთა-მთიანეთის მხარის ფეისბუკგვერდის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გრძელდება ქვეშეთი-კობის გვირაბის მშენებლობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ქვეშეთი-კობის 9 კმ სიგრძისა და 15 მ დიამეტრის მქონე გვირაბი, რომლის ბურღვა კლდოვან ქანებში მიმდინარეობს, საქართველოში ყველაზე დიდი, ხოლო მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი უნიკალური იქნება.

მთავარი გვირაბის გაყვანა მიმდინარეობს სპეციალურად ქვეშეთი-კობის პროექტისთვის დამზადებული გვირაბგამყვანი დანადგარით - TBM-ით, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას.

ქვეშეთი-კობის პროექტის ფარგლებში, ჯამში, აშენდება 23 კმ-იანი 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 4 ხიდი და 4 გვირაბი

ახალი 23 კმ-იანი გზა მანძილს 11 კმ-ით შეამცირებს, ხოლო გზის გავლას 1 სთ-ის ნაცვლად 15 წუთი დასჭირდება.

შატილში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებები განხორციელდა

შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებები განხორციელდა.

დასრულებული სამუშაოები მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ, პირველ მოადგილესთან, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან - მანანა ნარიმანიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან - კახაბერ ჩიტაურთან ერთად მოინახულა.

პროექტის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებები რამდენიმე ადგილას გატარდა, მათ შორის - სოფელ შატილის კოშკებთან, მდ. არღუნზე, მოეწყო ნაპირსამაგრი კედლები და გაბიონები. სოფელ შატილში აგრეთვე განხორციელდა მუცოსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულ ადგილზე გასულ წელს სტიქიამ მიმდებარე ტერიტორია დააზიანა. ამჟამად უკვე მოეწყო გაბიონის კედელი. პროექტების ჯამური ღირებულება 600 000 ლარს აღემატება.

იბეჭდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუკგვერდის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

წარჩინებული მოსწავლეები პორტატული კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ

დუშეთის მუნიციპალიტის 31 წარჩინებული მოსწავლე, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, პორტატული პერსონალური კომპიუტერით დაჯილდოვდა.

პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის ის მოსწავლეები, რომლებმაც 2021-2022 სასწავლო წელს საბაზო საფეხური - VII, VIII და IX კლასები - წარჩინებით დაამთავრეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა, დამრგვალების გარეშე.

წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ღონისძიებას ილია ზაქაიძის სახელობის დუშეთის კულტურის სახლში მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და სხვა პირებთან ერთად, ესწრებოდნენ მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები. მათ მოსწავლეებს მიღწეული შედეგები მიულოცეს და სამომავლოდ კიდევ არაერთი წარმატება უსურვეს. ამასთან, აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს.

ღონისძიებაზე ასევე დაჯილდოვდა მაღაროსკარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი - მზისავარ თურმანაული. მას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისგან „დამსახურებული მასწავლებლის“ ჯილდო გადაეცა.

ცნობისათვის, პორტატული კომპიუტერები ქალაქ დუშეთის N1 და N2 საჯარო სკოლების, დაბა ჟინვალისა და დაბა ფასანურის, სოფელ ბარისახოს, აბანოსხევის, ბულაჩაურის, ლამოვანის, პირმისაანთკარის, საკრამულისა და ჭილურტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს გადაეცათ.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების სოფლების სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო

საგურამოს, გალავნის, ნავდარაანთკარის, ჯილაურის, ჭოპორტისა და ახატნის მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმის შემუშავების საპროექტო სამუშაოები ჩატარდება: სპეციალისტები დარგობრივ მიმართულებებს შეისწავლიან, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კი სივრცის განვითარების ხედვა, კონცეფცია და გეგმა ჩამოყალიბდება.

წინასაპროექტო სამუშაოების მიმდინარეობას სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი იოანე მენაბდე, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ დავით ნოზაძესთან და მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად გაეცნო. პრეზენტაცია საპროექტო ჯგუფმა წარმოადგინა. მოსამზადებელი სამუშაოების განხილვის შემდეგ, იოანე მენაბდემ საპროექტო ჯგუფთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დასაგეგმარებელი არეალები დაათვალიერა.

სივრცითი დაგეგმარება მუნიციპალიტეტების მდგრად განვითარებას ისახავს მიზნად.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N65

2023 წლის 24 ნოემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეორე ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N66

2023 წლის 24 ნოემბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N19 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და საქართველოს კანონის “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შევიდეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N19 განკარგულებაში. კერძოდ, განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის „1.1“ პუნქტი:

„1.[1] ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩებს მიენიჭოს სახელები დანართი N1-ის და წარმოდგენილი რუკის შესაბამისად.“

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

საკრებულოს სხდომაზე

24 ნოემბერს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური უძღვებოდა. სხდომაზე მიიღეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „დუშეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტგეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის N 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქ. N27-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში არსებული საოფისე ფართების (ს/კ 71.51.02.909) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის მიზნით, უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოსაცხადებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
3. „დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის განკარგულება N 3-ში დამატების შეტანის თაობაზე;
4. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ დუშეთში აღმაშენებლის ქ. N27-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 3 ოთახის, 40 კვ.მ საოფისე ფართის სარგებლობაში, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ,,არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის“ გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. დუშეთში აღმაშენებლის ქ. N27-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარდაფის ნაწილის 94,45 კვ.მ ფართის (ს/კ 71.51.02.909) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის მიზნით, უპირობო ელექტრონული აუქციონების გამოსაცხადებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
6. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;
7. „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის N19 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ;

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე“

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

ძვირფასო მკითხველო,



თექვსმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

დუშეთს თავისუფალი თეატრი ესტუმრა

გასულ თვეში თავისუფალმა თეატრმა დუშეთის კულტურის სახლის სცენაზე წარადგინა ორმოქმედებიანი კომედია „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“.

პიესის მიხედვით, რომლის ავტორი და რეჟისორიც ავთო ვარსიმაშვილია, ხოლო მხატვარი - მირიან შველიძე, ადამიანებს უჭირთ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გარკვევა და მათ ცხოველები ეხმარებიან.

წარმოდგენას დუშეთის კულტურის სახლში მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი თემურ მაღრაძე და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე შეკრებილ საზოგადოებასთან ერთად ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე დასწრება ყველა მსურველისათვის თავისუფალი იყო.

წარსული მომავლისათვის...

„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწინკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ილია ჭავჭავაძე,
1897 წლის 31 დეკემბერი.

ჭადრაკი...

28 ნოემბერს დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ ქ. დუშეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოჭადრაკეებს მეტი მოტივაციისა და წახალისების მიზნით ჭადრაკის სადემონსტრაციო დაფა გადასცა. სკოლაში ჭადრაკს ასწავლიან მწვრთნელები - ელგუჯა ბედოშვილი და დავით სულაბერიძე. გაერთიანება წარმატებებსა და წინსვლას უსურვებს ყველა მოჭადრაკეს.

ვაჟა-ფშაველა „სასახალწლო ფიქრები“

„თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით“



ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისგან არაფერს მოელის, გადუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... ყოველ მის საქმეს, მოძრაობას და მოქმედებასაც არა აქვს შნო, არა აქვს ლაზათი. იმას არც თავმოყვარეობა აქვს, არც სხვის სიყვარული შეუძლიან, არც საქმისა, აკლია მხნეობა. ეგრეთვე თუ ერი, როგორც კრებული ადამიანთა. საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავს იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა. თამამად ვიტყვი, რაც უნდა დაბეჩავებული იყოს ერი, რაც უნდა გასაწყლებული, თუ საუკეთესო მერმისს მოელის და არ გადაუწყვეტია იმედი და არ ფიქრობს: ეგ არის, ჩემი საქმე მორჩომილია, დაღუპული ვარო, ის ერი არც დაიღუპება, არც მოკვდება. მომაკვდინებელს გარემოებაში და პირობებში რომ იყოს, პირობებს შესცვლის და გაიმარჯვებს კიდეც. ხომ იცით კერძო ცხოვრებიდან მაგალითები, ექიმის იმედიანს სიტყვას მომაკვდავი სნეული ფეხზე წამოეყენოს. იმედიანმა სიტყვამ იმედი დაუბადა გულში სნეულს და გააცოცხლა. მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმედს როცა აძლევს ექიმი, თან წამალსაც შესაფერს აძლევს სნეულს, ისეთს წამალს – მის სნეულებას რომ მოუხდეს და არა შხამს, საწამლავს. შეიძლება სნეული ცალკე აღებული ადამიანი, მარტო იმედით მორჩეს, უწამლოდ, უარარაოდ, ხოლო დასნეულებული, დაავადებული ერი არასოდეს მარტო ცარიელის იმედით არ მორჩება, თუ წამალი არ მიეშველა. მაინც ერი იმედიანად არადროს არც არის, თუ იგი თავის სხეულში არა ჰპოვებს წამალს, არა ჰხედავს ნიშნებს საუკეთესო მერმისისას და მომავლისას. რაკი მომავლის იმედზე ვამბობთ, ისიც აუცილებლად საჭიროა ითქვას, რომ ერი არასოდეს უიმედობას არ მიეცემა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდება და მომავლის იმედს არ ჰკარგავს. უიმედობა მომავალზე ეს ჩვენი ეგრეთწოდებული ერთგვარი ინტელიგენციის ცუღლუტობაა და სხვა არარა, ეს უსაქმურთა და უკეთურთა საქმეა. იცნობს ამის მთქმელი ერს? იცის მისი სულისა და გულის ვითარება? არაფერი ეს ამ იმედის მომწამვლელთ არ იციან, იმიტომ რომ თვითონ არაფრის გაკეთება, არაფრის უნარი არა აქვთ, არაფერი ცხოვრებისა არ ესმით, ერის ძალ-ღონე აწონილ-გაზომილი არა აქვთ. ან კი რას ვამბობ: ვინც ჯერ თავის თავს არ იცნობს, თავისი ძალ-ღონე არ შეუგნია, იგი ერს როგორ იცნობს, მის ძლიერებას, ან სისუსტეს როგორ შეიგნებს?!.. იქნება მკითხველი გაგვიწყრეს და სთქვას: „რა დროს იმედებზე ლაპარაკისაა, სხვა რამე თქვი, დალოცვილო, რომ ახალწლის დღესასწაულს შეეფერებოდესო“. უსამართლო რისხვაა. ახალ წელს სწორედ ამ საგანზე შაეფერება საუბარი. რადა-თქო? - მკითხეთ. იმიტომ, მეც მოგახსენებთ, რომ რაც უნდ უფერულ და უიმედო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალწელს მაინც იმედით ეგებება, როგორც კარგი რისამე მომტანს, კარგის მომასწავებელს. უნუგეშოდ, უიმედოდ დახვედრა კი დიდი ცოდვაა. თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენა გვყვანან „უიმედონი“ ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა რა სწამთ და არცა რას დაიჯერებენ გარდა, „კოსმოპოლიტიზმისა“. ნაციონალიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ, თუ სხვა ერს არ შევუერთდით და „ჩვენობა“ არ უარვყავითო. პატრიოტები იმათ ფიქრით ვიწრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულობა აქვთ. ესენი ბალღობა არიან, წვრილფეხობაა, და როგორც მოგეხსენებათ, ბალღს ლულუა უყვარს. დიაღ, ბალღები არიან და სამწუხაროც ეს არის, რაც ახალგაზრდული ძალღონე აქვთ, შეალევენ ჰაერში კოშკების გებას და როცა მოიღლებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძლურებულნი, მაშინ დაბრუნდებიან „შინა“, მაშინ მოიკითხავენ საკუთარს კერას, საკუთარს ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რიღას მაქნისანი იქნებიან?!.. სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამგვარს საკენკს უყრით, წყეულის და სიძულვილისა.

ამ ახალწლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად და ჩავჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომელ ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონისდაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით. თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამაო შრომაა, ვინც იმას ამბობს, კაცობრიობას უნდა ვარგოვო და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმებისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისათვის – რომლის ღვიძლი შვილია, – რომლის ავი და კარგი ესმის (და თუ არ ესმის თავის შინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და, მაშასადამე, ან რას არგებს).

იანვარი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

თებერვალი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29			

მარტი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აპრილი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

მაისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ივნისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ივლისი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აგვისტო

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

სექტემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

ოქტომბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ნოემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
			1	2	3	
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

დეკემბერი

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“

დუშეთის მაცნე
გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია